საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 31 აგვისტო
დადგენილება N1649

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,
სს „საქართველოს რკინიგზის“ და საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -
სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ერთობლივად დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებული იქნეს სტუ-ს რექტორის - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ფრანგიშვილის წინადადება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზის“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ერთობლივად დაფუძნების შესახებ.
2. მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებასთან დაკავშირებით და მიეცეს რექტორს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ა(ა)იპ-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;
3. მოწონებული იქნეს „ა(ა)იპ“)-ის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დამფუძნებელთა ხელშეკრულების, „ა(ა)იპ“)-ის წესდებისა და დამფუძნებელთა კრების ოქმის პროექტები.
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე